NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

07/02/2025

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასნათ უპმაკი (Asnate Upmace)ლატვიის უნივერსიტეტი/აკადემიური ინფორმაციის ცენტრი, ლატვია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია სურმანიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე ნაცვლიშვილი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მერაბიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	„ბიზნესის ადმინისტრირება“
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Business Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[2]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (2018 წლის 31 აგვისტო, გადაწყვეტილება №113)
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[1]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[2](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამამ პირველად აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. ამჟამად, უნივერსიტეტში ირიცხება 346 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად და ეტაპობრივად შეამცირა სტუდენტთა მისაღები წლიური კვოტა. მაგალითად, 2019 წელს 95 სტუდენტი, ხოლო 2023 წელს 45 სტუდენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხვედრისთვის კონკურენცია მაღალი იყო - 2023 წელს, ერთ ვაკანტურ ადგილზე 24 განაცხადი მოდიოდა (7 განაცხადი, თუ მხოლოდ პირველ სამ არჩევანს გავითვალისწინებთ).

სულ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 57 პერსონალი - 7 აკადემიური პერსონალი (3 სამეცნიერო პერსონალი და 4 აფილირებული აკადემიური პერსონალი) და 47 მოწვეული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 16 სექტემბერს. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს - უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ნაწილობრივ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ბიბლიოთეკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ, სტანდარტებთან შესაბამისობა გულისხმობს შემდეგს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შეესაბამება მოთხოვნებს

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შეესაბამება მოთხოვნებს

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შეესაბამება მოთხოვნებს

თუმცა, გაუმჯობესების გარკვეული სფეროები დეტალურადაა განხილული ანგარიშში და შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები ხაზგასმულია ქვემოთ მოცემულ თავებში. საერთო

ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა სულ ჩამოაყალიბა 9 რეკომენდაცია და 10 რჩევა, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს "ანალიტიკოსების" მომზადებას - რაც გულისხმობს პროგრამის შინაარსის გაძლიერებას ამ მიმართულებით ან მიზნის სხვაგვარად ფორმულირებას. პროგრამის სწავლის შედეგები მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან, თუ სიტყვა "ანალიტიკოსი" ნახსენები იქნება პროგრამის მიზანში. შესაბამისად, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ანალიტიკოსის მომზადება შესაბამისი ტექნოლოგიური უნარებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, რეკომენდებულია სიტყვა „ანალიტიკოსი“ ამოღებულ იქნეს მიზნიდან (სტანდარტი 1.2.).
2. რეკომენდებულია, ისეთი კურსების შეთავაზება, რომლებიც ფოკუსირებულია ბაზრის კვლევის საფუძველზე გამოვლენილი კომპეტენციების განვითარებაზე. ასეთი მიდგომა ბაზრის კვლევის შედეგებს უფრო ხილვადს გახდის, რაც უშუალოდ შეუწყობს ხელს საჭირო კომპეტენციების განვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება ტურიზმისა და მონაცემთა დამუშავების კომპეტენციებს, სადაც უნდა დაზუსტდეს როგორც "სტუმართმოყვარეობის ბიზნესის" კომპონენტის სტატუსი სასწავლო პროგრამაში, ასევე მონაცემთა დამუშავების ცოდნისა და უნარების მიწოდების ფორმა (სტანდარტი 1.2).
3. რეკომენდებულია, არსებული ფართო შეფასების დიაპაზონების ნაცვლად, შემოღებულ იქნას ანალიტიკური შეფასების რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო ობიექტური და სტრუქტურირებული შეფასების ჩარჩო. ეს რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების მკაფიო კრიტერიუმებს და შეამცირებს შესაძლო ბუნდოვანებას შეფასების დაწერის პროცესში (სტანდარტი 1.3).
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო კურსების რაოდენობის შემცირება, პროგრამის ფარგლებში მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიზნით, პროგრამას შეუძლია გაზარდოს ECTS კრედიტების რაოდენობა არჩევითი ან თავისუფალი კურსებისთვის, რაც სტუდენტებს მისცემს მეტ თავისუფლებას მოარგონ მიღებული განათლება საკუთარ, კონკრეტულ მიზნებსა და კარიერულ მისწრაფებებს (სტანდარტი 1.4).
5. რეკომენდებულია, განახლდეს რამდენიმე ძირითადი საგნის სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები, რათა მათ ასახონ ბიზნესის ყველაზე აქტუალური ტენდენციები და მიღწევები. კონკრეტული საგნები, რომლებსაც ეს ეხება, მითითებულია ზემოთ მოცემულ "აღწერა და ანალიზის" ნაწილში (სტანდარტი 1.5).
6. რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში, გაძლიერდეს ტექნოლოგიური უნარების სწავლების კომპონენტი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიზანია მენეჯერებისა და ანალიტიკოსების მომზადება (სტანდარტი 1.5).

7. რეკომენდებულია გადამოწმდეს, რომ დათქმა "შუალედური გამოცდის/შეფასების გადატანა არ არის შესაძლებელი" შესაბამისად აისახოს სილაბუსში და ხელახლა გადაიხედოს ის კომპონენტები, რომელთა გადატანა არ არის შესაძლებელი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური მოქნილობა სტუდენტებისთვის (სტანდარტი 2.3).
8. რეკომენდებულია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხითა და მდგრადი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გაიზარდოს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (სტანდარტი 4.1).
9. რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული) დატვირთვას, რაც გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა უნივერსიტეტებში (ან ორგანიზაციებში) მათ მიერ პარალელურად დაკავებული პოზიციები და მათი საერთო დატვირთვა (სტანდარტი 4.1).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, განხორციელდეს მონიტორინგი, რომ შეფასების აქტივობების მოცულობა და შეფასების სირთულე იყოს კონკრეტული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების პროპორციული (სტანდარტი 2.3).
2. სასურველია, პოპულარიზაცია გაეწიოს სტუდენტებში გაცვლით შესაძლებლობებს და წაახალისოთ ისინი, რომ მიიღონ მონაწილეობა (სტანდარტი 3.1).
3. სასურველია, მოარგოთ სასწავლო განრიგი სტუდენტების საჭიროებებს, განსაკუთრებული ეს ეხება პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს, მათთვის საღამოს საათებში სასწავლო გრაფიკის დანიშვნას (სტანდარტი 3.1).
4. სასურველია, საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიეროთ და მხარი დაუჭიროთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებას და კვლევით აქტივობებში მათ მონაწილეობას (სტანდარტი 4.1).
5. სასურველია, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება ერთობლივი ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზების გზით, ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული მიზნობრივი ტრენინგ-სესიების ჩატარება. (სტანდარტი 4.3).
6. სასურველია, 360-გრადუსიანი შეფასების ყოვლისმომცველი სისტემის დანერგვა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალის გამჭვირვალე ანაზღაურებისა და წახალისების სქემასთან. (სტანდარტი 4.3).
7. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს საავტორო უფლებების მარეგულირებელი წესები იმ სახელმძღვანელოების სრულად გაციფრულებისას, რომლებიც ხელმისაწვდომია შესაძენად, რათა უზრუნველყოს ამ პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან და საავტორო უფლებების კანონმდებლობის

პრინციპებთან, პოტენციური სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით (სტანდარტი 4.4).

8. სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიწეროს ბიზნესის სფეროსთან და ბიზნესქეისებთან დაკავშირებული სპეციფიკური ჟურნალები და ბაზები სასწავლო რესურსების შემდგომი გამდიდრების მიზნით (სტანდარტი 4.4).
9. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში 4.4 ქვესტანდარტის აღწერა უშუალოდ ეხებოდეს საბიბლიოთეკო სერვისებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საბიბლიოთეკო რესურსების უფრო სრულყოფილი შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად (სტანდარტი 4.4).
10. სასურველია, ცალკე გამოიყოს და მკაფიოდ აღიწეროს ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ (სტანდარტი 4.5).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს საგანმანათლებლო პროგრამის გამორჩეულ მახასიათებელს - ეს არის დამატებითი 15 კრედიტის გამოყოფა, რომელიც არ შედის კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობაში. ეს დამატებითი კრედიტები საშუალებას აძლევს სტუდენტებს განივითარონ ისეთი უნარები, რომლებსაც თავად მიიჩნევენ მნიშვნელოვნად მომავალი კარიერისთვის. ეს ემატება იმ 9 კრედიტს, რომელიც უკვე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსებისთვის.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, რადგან უნივერსიტეტის საპირისპირო მოსაზრებები არ არის დაკავშირებული ექსპერტთა რეკომენდაციების არსთან ან/და არ არის დასაბუთებული რაიმე მტკიცებულებით რომელიც გააბათილებდა ექსპერტების რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფს სურს დაწესებულებამ განიხილოს ექსპერტების რეკომენდაციები როგორც გასაუმჯობესებელი საკითხები, რომლებიც უფრო გააუმჯობესებს პროგრამის კონკურენტუნარიანობას და პოზიციონირებას საქართველოში.

დაწესებულების არგუმენტაციაზე ექსპერტების დეტალური პასუხი იხილეთ დასკვნის დანართში

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი ასახელებს გასაუმჯობესებელ სამ ძირითად სფეროს:

- კურიკულუმისა და სემესტრული გეგმის ოპტიმიზაცია;
- საგნებს შორის შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური კავშირების გაძლიერება;
- საგნების დაჯგუფების ოპტიმიზაცია.

2022/2023 აკადემიური წლის განმავლობაში გაუქმდა ადრე არსებული კონცენტრაციები და მათ ნაცვლად გაიზარდა ბიზნესის ძირითადი სასწავლო გეგმა. 2023 წელს ასევე გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან (ბიზნესის ადმინისტრირება) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი მისწრაფებების მქონე, მრავალმხრივი მენეჯერები და ანალიტიკოსები, რომლებსაც ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესისა და ბიზნეს პროექტების მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ, რაც შეესაბამება დაწესებულების მისიას. პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალურ სფეროს. ასევე, უზრუნველყოფილია შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონესთან.

დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრამ დაადასტურა პროგრამის სტრატეგიული მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის. პროგრამის მიზანი ცნობილია დაინტერესებულ მხარეებისათვის, რაც დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრების დროს და ასევე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://agruni.edu.ge/en/programs/bachelor/business-administration/?program=program.

პროგრამის ძირითადი მიზანია პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც ძირითადი ფაქტორია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის. . ეს დასტურდება პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტების მრავალფეროვნებით, რომლებიც შემუშავებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისა და ჩართული მხარეების კვლევის შედეგების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- კურიკულუმი
- გასაუბრება უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- o
  წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	✓	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ზუსტად შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, რომელიც დამტკიცებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 25 ოქტომბერს (MES 9 23 0001440631). ეს შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონეს, რომელიც აღწერს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ეს შესაბამისობა უზრუნველყოფს პროგრამის რელევანტურობასა და აქტუალობას სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში.

სწავლის შედეგები არის ყოვლისმომცველი და მოიცავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების ფართო სპექტრს. ისინი გაერთიანებულია დონეების გამოყოფის გარეშე, თუმცა გამოყოფილია ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის განვითარებაზე ორიენტირებული შედეგები. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომა განაპირობებს პროგრამის შესაძლებლობას ეფექტურად მოამზადოს სტუდენტები ბიზნეს სფეროში არსებული კომპლექსური გამოწვევებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგებია:

1. ესმის რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარებს, რომელსაც სთავაზობს უნივერსიტეტის ზოგადი განათლების მოდული; იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს მორალურ ღირებულებებზე დაყრდნობით და აცნობიერებს მსოფლიოსა და საზოგადოების მრავალფეროვნებას.
2. აცნობიერებს ბიზნესის არსს, მისი საქმიანობის სფეროებს, შესაძლებლობებს, შეზღუდვებსა და გამოწვევებს;
3. განიხილავს ბიზნესის მართვის ძირითად კონცეფციებს.

4. აღწერს ბიზნეს გარემოს, ბიზნესის ფუნქციურ სფეროებსა და ფაქტორებს, რომელიც მათზე ახდენს გავლენას;
5. აცნობიერებს ბიზნეს ოპერაციების არსსა და მათთან დაკავშირებულ პროცესებს.
6. იკვლევს და აანალიზებს ბიზნეს საქმიანობას, გამოავლენს პრობლემებს და შეიმუშავებს გადაჭრის გზებს.
7. განსაზღვრავს კომპანიის შეფასებისა და ზრდის შესაძლებლობებს.
8. ახდენს ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მათი შემცირების სტრატეგიებს.
9. ავითარებს, ახორციელებს და წარადგენს ბიზნესის ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებულ კვლევით/პრაქტიკულ პროექტებს.
10. აცნობიერებს ლიდერობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას გუნდურ გარემოში და მოქმედებს შესაბამისი პრინციპების დაცვით.
11. იცის და ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
12. აცნობიერებს ბიზნესისა და კორპორაციული ეთიკის პრინციპებსა და ღირებულებებს.
13. განსაზღვრავს პირადი სწავლის საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტს და მასთან თავსებადია.

პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რომელიც განსაზღვრულია როგორც "მოამზადოს მოტივირებული, მრავალმხრივი მენეჯერები და ანალიტიკოსები", სადაც ხაზგასმით იკითხება "ანალიტიკოსები". ეს არის ცალკე პროფესია და თუ პროგრამა მიზნად ისახავს ანალიტიკოსების მომზადებას, ეს გულისხმობს ტექნიკური კომპეტენციების ფლობას. ბიზნეს ანალიტიკოსები ხშირად იყენებენ მონაცემებს და ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა Excel, SQL და ვიზუალიზაციის პლატფორმები (მაგ., Power BI, Tableau). მათ უნდა ესმოდეთ სისტემური პროცესები და ტექნიკური ტერმინოლოგია დეველოპერების გუნდებთან ურთიერთობისთვის. ამგვარად, პროგრამა ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ამ საკითხზე ან სხვა შემთხვევაში, უნდა გადაიხედოს მიზანი და ამოღებულ იქნას სიტყვა "ანალიტიკოსი".

დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია ბიზნესის სფეროში პერსონალს კარგად ესმოდეს პროცესები, რათა შეეძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი რისკების შეფასება. ასევე, აუცილებელია მოლაპარაკების უნარები და ზოგადად კორპორაციული ეთიკის შეგრძნება. ამასთან, მნიშვნელოვანია საბაზისო თეორიული ცოდნა და ტექნიკური უნარები ფინანსებში, Excel-ში, მონაცემთა დამუშავებაში, მარკეტინგში და სხვა. სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის რუკაში უნდა დაზუსტდეს, თუ რა ფორმით არის

გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავება, რაც დამსაქმებლებმა დაასახელეს, როგორც მნიშვნელოვანი უნარი ბიზნესის სფეროს პერსონალისთვის.

წარმოდგენილ შრომის ბაზრის ანალიზში ვკითხულობთ: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სტუმართმოყვარეობის ბიზნესს, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს ამ სფეროში დასაქმებას. შესაბამისად, მოძიებულ იქნა მონაცემები როგორია ტურიზმის სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში." კურიკულუმის რუკის მიხედვით, სასწავლო კურსების ჩამონათვალში ტურიზმი არ არის მითითებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- შრომის ბაზრის ანალიზი.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს "ანალიტიკოსების" მომზადებას - რაც გულისხმობს, რომ ან გაძლიერდეს პროგრამის შინაარსი ამ მიმართულებით, ან შესწორდეს მიზანი. პროგრამის სწავლის შედეგები მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება პროგრამასთან შესაბამისობაში, თუ სიტყვა "ანალიტიკოსი" ნახსენები იქნება პროგრამის მიზანში. შესაბამისად, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ანალიტიკოსის მომზადება შესაბამისი ტექნოლოგიური უნარებით; წინააღმდეგ შემთხვევაში რეკომენდებულია მიზნიდან ამოღებულ იქნას სიტყვა "ანალიტიკოსი".
2. რეკომენდირებულია, აუცილებელია ისეთი კურსების შეთავაზება, რომლებიც ფოკუსირებულია ბაზრის კვლევის საფუძველზე გამოვლენილი კომპეტენციების განვითარებაზე. ასეთი მიდგომით ბაზრის კვლევის შედეგებს უფრო ხილვადს ხდის, რაც უშუალოდ შეუწყობს ხელს საჭირო კომპეტენციების განვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება ტურიზმისა და მონაცემთა დამუშავების კომპეტენციებს, უნდა დაზუსტდეს როგორც "სტუმართმოყვარეობის ბიზნესის" კომპონენტის სტატუსი სასწავლო პროგრამაში, ასევე მონაცემთა დამუშავების ცოდნისა და უნარების მიწოდების ფორმა.

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	✓	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყენებს ყოვლისმომცველ და სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც შექმნილია სტუდენტების მიღწევების ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.

ამ პროცესის საფუძველს წარმოადგენს სასწავლო კურსის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები და მათი გაზომვისთვის სპეციალურად შერჩეული შეფასების მეთოდები. ეს შესაბამისობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნების მიღწევისთვის

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სწავლის შედეგები შემუშავებულია თანამშრომლობითი პრინციპით. პროფესორ-მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელები და ვიცე-რექტორი პროგრამული განვითარების მიმართულებით ერთობლივად მუშაობენ ამ შედეგების განსაზღვრაზე. სწავლის შედეგები იზომება გამჭვირვალე კრიტერიუმებით, რომლებიც მოცემულია თითოეული კურსის სილაბუსში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ერთიან და თანმიმდევრულ განხორციელებას. შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას, არის მრავალკომპონენტიანი და მოიცავს შუალედურ და დასკვნითი შეფასებებს. საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 60%-ით, როგორც ეს მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

თუმცა, ერთი საკითხი, რომელიც იდენტიფიცირებულია მიმდინარე სილაბუსებში, არის შეფასების ფართო დიაპაზონის გამოყენება, როგორიცაა 0-7, 7-13 და 14-20 შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის. ასეთმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს პროფესორ–მასწავლებლების მხრიდან შეფასების სუბიექტურობა. ამის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებულია ანალიტიკური რუბრიკების შემოღება, რაც უზრუნველყოფს უფრო ობიექტურ და სტრუქტურირებულ შეფასების ჩარჩოს. ეს რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების მკაფიო კრიტერიუმებს და ამცირებს შესაძლო ბუნდოვანებას შეფასების დაწერის პროცესში. ამ სიახლის დანერგვა უზრუნველყოფს შეფასების მეტ სამართლიანობას და უფრო ეფექტურ შესაბამისობას სწავლის შედეგებთან.

კურიკულუმის რუკა აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად მიიღწევა. კურიკულუმის რუკაში აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის ფართო მიზნებთან, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და იძლევა საშუალებას გაანალიზდეს, თუ რამდენად ეფექტურად უწყობს ხელს თითოეული კურსი ამ შედეგების მიღწევას.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მეთოდი: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიღწევების სტატისტიკურ ანალიზს წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში. იგი გულისხმობს თითოეული სასწავლო კურსის შედეგების შეფასებას სილაბუსში წინასწარ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების გამოყენებით. არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების შეგროვებას, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პროგრამის შინაარსის გასაუმჯობესებელი მხარეები და შემოწმდეს მისი რელევანტურობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ყოვლისმომცველი შეფასების პროცესი მოიცავს სტუდენტთა რეგულარულ გამოკითხვებს, რომლებიც ტარდება ანონიმურად Survey Monkey-ის მეშვეობით და თვისებრივ კვლევებს,

როგორიცაა ფოკუს ჯგუფების ინტერვიუები სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ეს უკუკავშირის სისტემა უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამების მუდმივ დახვეწას, რათა უკეთ დააკმაყოფილოს ინდუსტრიის მოთხოვნები და მთლიანობაში გააუმჯობესოს სტუდენტების სასწავლო გამოცდილება.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში განსაზღვრულია 15 ძირითადი სწავლის შედეგი, რომელთა გაზომვა ხორციელდება 72 შესრულების ინდიკატორის საშუალებით და მოიცავს 2024–2027 წლებს. 2026-2027 სასწავლო წლის დასასრულს ეს ინდიკატორები საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ, რამდენად წარმატებით უზრუნველყოფს განახლებული პროგრამა კურსდამთავრებულთა აღჭურვას შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარებით.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების საფუძვლიან შეფასების პროცესს. შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები გადამწყვეტ როლს ასრულებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში და უზრუნველყოფს აკადემიურ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- შესრულების ინდიკატორები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, არსებული ფართო შეფასების დიაპაზონის ნაცვლად დაინერგოს ანალიტიკური შეფასების რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იქნას უფრო ობიექტური და მკაფიოდ სტრუქტურირებული შეფასების სისტემა. ეს რუბრიკები განსაზღვრავს შეფასების მკაფიო კრიტერიუმებს და შეამცირებს სუბიექტურობის რისკს შეფასების დაწერის პროცესში.

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	✓	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო
პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტებსა და ადგილზე ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამას აქვს მკაფიო სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამა სრულად მოიცავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლის შედეგებს, ECTS კრედიტებსა და სასწავლო გეგმის განვითარებას.

პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კურსები, ფუნდამენტური განათლება, ძირითადი განათლება, პრაქტიკული განათლება და არჩევითი კურსები. ეს ელემენტები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიიღონ მრავალმხრივი განათლება, რომელიც აერთიანებს ზოგად და სპეციალიზებულ ცოდნას და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აკადემიური წრეებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენლების თანამშრომლობითი პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის მუდმივ განვითარებასა და დახვეწას.

პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, განსაკუთრებით 2023 წელს დამტკიცებულ ვერსიასთან, ადასტურებს, რომ მასში ეფექტურად არის ინტეგრირებული ყველა აუცილებელი სამიზნე ნიშნული და სტანდარტი. პროგრამის

მიზნები, რომელიც ეხება უნარების განვითარებას, ბიზნესის ფუნდამენტურ განათლებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, შეესაბამება თვითშეფასების ანგარიშში გაწერილ სტანდარტებს.

თუმცა, ადგილზე ვიზიტისა და სტუდენტებთან შეხვედრების დროს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საკითხი საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კურსების რაოდენობასთან დაკავშირებით. ჯამური 240 ECTS კრედიტიდან 53 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კურსებს. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ კურსების სიმრავლემ, განსაკუთრებით საწყის სემესტრებში, შესაძლოა შეზღუდოს მათი შესაძლებლობა აირჩიონ მეტი სპეციალიზებული ან არჩევითი კურსი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ბიზნესის სფეროს ან მათ პირად ინტერესებს.

ზოგადი განათლების საგნები, რომლებიც ძირითადად პირველ ორ სემესტრშია თავმოყრილი, აუცილებელია ფართო საგანმანათლებლო ბაზის შესაქმნელად, თუმცა სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება პროგრამაში მეტი მოქნილობის აუცილებლობის შესახებ. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კურსების ამჟამინდელი განაწილება ზღუდავს თავისუფალი არჩევითი კრედიტების რაოდენობას (9 ECTS), სტუდენტების აზრით, შეიძლება გაიზარდოს მეტი თავისუფლებისა და არჩევანის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამა შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის ზოგად მოთხოვნებს, თუმცა უნდა გადაიხედოს ბალანსი საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კურსებსა და არჩევით კრედიტებს შორის. თავისუფალი არჩევითი კრედიტების რაოდენობის გაზრდა სტუდენტებს მისცემს მეტ ავტონომიურობას თავად აირჩიონ საკუთარი საგანმანათლებლო გზა, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მაღალი აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებით. ამით, დაწესებულება ასევე გაზრდის პროგრამის მოქნილობას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა იმ სფეროებში, რომლებიც შეესაბამება მათ ინტერესებსა და მომავალ კარიერულ გზებს. ეს ცვლილება არა მხოლოდ გაზრდის სტუდენტების კმაყოფილებას, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის უკეთეს შესაბამისობას თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებთან, სადაც სასწავლო კურსების არჩევისას პერსონალიზაცია და მოქნილობა არის ყოვლისმომცველი, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გამოცდილების უზრუნველყოფის საკვანძო ელემენტები.

პროგრამის დიზაინი, შინაარსი და სტრუქტურა ლოგიკურად და არსებითად შეესაბამება დასახულ სწავლის შედეგებს, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები პროგრამის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო კურსების რაოდენობის შემცირება, პროგრამის ფარგლებში მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიზნით, პროგრამას შეუძლია გაზარდოს ECTS კრედიტების რაოდენობა არჩევითი ან თავისუფალი კურსებისთვის, რაც სტუდენტებს მისცემს მეტ თავისუფლებას მოარგონ მიღებული განათლება საკუთარ, კონკრეტულ მიზნებსა და კარიერულ მისწრაფებებს (სტანდარტი 1.4).

რჩევები:

შეფასება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	✓	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო
პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მონაცემების საფუძველზე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა რამდენიმე მიმართულებით აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. სასწავლო კურსების სილაბუსები ისეა შედგენილი, რომ მათი სტრუქტურა დეტალურად აღწერს კურსის მიზნების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის ზოგადი სწავლის შედეგების შესაბამისობას. თუმცა, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გასაუმჯობესებელი მხარეები, განსაკუთრებით სასწავლო მასალების განახლებასა და კურიკულუმში ტექნოლოგიური უნარების ინტეგრირებასთან დაკავშირებით.

თითოეული სილაბუსი მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას, როგორიცაა კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ECTS კრედიტების რაოდენობა. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა კურსმა წვლილი შეიტანოს პროგრამის ფართო სწავლის შედეგების მიღწევაში. კრედიტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება, სადაც 1 ECTS კრედიტი უდრის სტუდენტის 30 საათიან დატვირთვას, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო დროს დასახული შედეგების მისაღწევად.

თუმცა, შეფასების დროს აღმოჩნდა, რომ რამდენიმე კურსი იყენებს სახელმძღვანელოებს, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდეს შესაბამის სფეროებში უახლეს მიღწევებს. ეს იწვევს შეშფოთებას თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის ზოგიერთი შინაარსი ბიზნეს განათლების მიმდინარე ტენდენციებს. ქვემოთ მოცემულია კურსების სია და ამ კურსების ფარგლებში გამოყენებული ძირითადი სახელმძღვანელოების გამოცემის წლები, რაც მიუთითებს მათი განახლების აუცილებლობაზე:

ხარისხის მართვა: 2014 წლის წიგნი
ფინანსური ინსტიტუციები და ბაზრები: 2018 წლის წიგნი
ფინანსური აღრიცხვა 1 და 2: 2018 წლის წიგნები
ორგანიზაციული ქცევა: 2013 წლის წიგნი

ოპერაციების მენეჯმენტი: 2013 წლის წიგნი
მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი: 2012 წლის წიგნი
მართვა: 2018 წლის წიგნი
მარკეტინგის მართვა: 2017 წლის წიგნი
მართვის საინფორმაციო სისტემები: 2011 წლის წიგნი
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები: 2017 წლის წიგნი
გაყიდვები და გაყიდვების მენეჯმენტი: 2010 წლის წიგნი
ბიზნესის საფუძვლები: 2011 წლის წიგნი
ბიზნესი მოქმედებაში: 2011 წლის წიგნი
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი: 2012 წლის წიგნი

მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალები მნიშვნელოვან ცოდნას იძლევა, ზოგიერთი მათგანი ათ წელზე მეტი ხნისაა. ცვლილებების სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, როგორიცაა მენეჯმენტი, საინფორმაციო სისტემები და მარკეტინგი, ეს რესურსები უნდა განახლდეს, იმისათვის რომ სტუდენტები სწავლობდნენ მასალებიდან, რომლებიც ასახავს უახლეს ინდუსტრიულ პრაქტიკასა და თეორიებს. ამ რესურსების განახლება სტუდენტებს მისცემს უფრო შესაბამის და უახლეს ცოდნას, რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას თანამედროვე ბიზნეს გამოწვევებისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს, კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს პროგრამაში უფრო ინტენსიური ტექნოლოგიური მომზადების საჭიროებას. ტექნოლოგიური კომპეტენცია გადამწყვეტია, რადგან პროგრამის მიზანია მომავალი მენეჯერებისა და ანალიტიკოსების მომზადება. თანამედროვე ბიზნეს ტენდენციები ითხოვს ისეთ კურსდამთავრებულებს, რომლებიც დახელოვნებულნი არიან ისეთ სფეროებში, როგორიცაა მონაცემთა ანალიტიკა, ბიზნეს ანალიტიკა, ციფრული ინსტრუმენტები და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესები.

პროგრამის კურსდამთავრებულების უკუკავშირი მიუთითებს, რომ პროგრამა ეფექტურად ავითარებს ბიზნესის ძირითად უნარებს, თუმცა ტექნოლოგიური კომპონენტი არასაკმარისია ბიზნესში ციფრული წიგნიერების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ოპერაციათა მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა, საფინანსო ინსტიტუციები და მარკეტინგი, სადაც ციფრული ინსტრუმენტები და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომები სულ უფრო მეტად მკვიდრდება. ამ სფეროებში მაღალ დონეზე მომზადების მიღწევა შესაძლებელია შემდეგ საკითხებზე ორიენტირებული კურსების ან მოდულების დამატებით/ინტეგრირებით:

- მონაცემთა ანალიტიკა და ბიზნეს ანალიტიკა
- გადაწყვეტილების მიღების ციფრული ინსტრუმენტები
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნეს სტრატეგიები

- საინფორმაციო სისტემები და ციფრული ტრანსფორმაცია ბიზნესში

სასწავლო გეგმის ფარგლებში ტექნოლოგიური უნარების გაძლიერება არა მხოლოდ გაზრდის პროგრამის აქტუალობას, არამედ გააუმჯობესებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს და მათ მზაობას სამომავლო მმართველობითი და ანალიტიკური როლებისთვის.

პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნილ საგანმანათლებლო სტანდარტებს, ხოლო კურსების სილაბუსები უზრუნველყოფს პროგრამის ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რომელიც თანხვედრაშია სწავლის დაგეგმილ შედეგებთან. თუმცა, ძირითად კურსებში გამოყენებული ზოგიერთი სახელმძღვანელო საჭიროებს განახლებას, რათა ასახავდეს ბიზნესის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სფეროებისთვის, სადაც ინდუსტრიული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. გარდა ამისა, აუცილებელია ტექნოლოგიური უნარების უფრო მეტად ინტეგრირება, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს ბიზნესებისა და დამსაქმებლების თანამედროვე მოთხოვნებს.

აღნიშნული საკითხების მოგვარებით - სასწავლო მასალების განახლებითა და ტექნოლოგიური კომპეტენციების გაძლიერებით - პროგრამას შეუძლია უზრუნველყოს საკუთარი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და სტუდენტების სრულფასოვანი მომზადება სწრაფად ცვლადი ბიზნეს გარემოს გამოწვევებისა და შესაძლებლობებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, განახლდეს რამდენიმე ძირითადი საგნის სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები, რათა მათ ასახონ ბიზნესის ყველაზე აქტუალური ტენდენციები და მიღწევები. ზემოაღნიშნული სექციაში „აღწერა და ანალიზი“ ჩამოთვლილია ის კონკრეტული საგნები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებენ.

2. რეკომენდირებულია, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ტექნოლოგიური უნარები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიზანია მენეჯერებისა და ანალიტიკოსების მომზადება.

რჩევები:

შეფასება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	✓	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც

უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურა მიჰყვება საქართველოში საბაკალავრო პროგრამებისთვის გათვალისწინებულ სტანდარტულ მიღების პროცედურას, რომელიც გულისხმობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობას და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის ან საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ და/ან სწავლობდნენ სხვა ქვეყანაში არსებობს გამონაკლისი, რომელიც მათ ათავისუფლებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისგან.
წარმოდგენილი სტატისტიკისა და სხვადასხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლისთვის კონკურენცია მაღალია საქართველოში არსებულ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებით. საბოლოო ჯამში, ეს ნიშნავს, რომ ჩარიცხული აბიტურიენტების აკადემიური შედეგები მაღალია.
ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს არ მოუსმენია რაიმე საჩივარი მიღების პროცედურასთან ან მიღების კრიტერიუმების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრება პროგრამის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	✓	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს, რომ პრაქტიკული უნარების განვითარება მათი სასწავლო პროგრამების ქვაკუთხედია და ასევე პრაქტიკული სწავლების კომპონენტები, როგორიცაა ქეისებზე დაფუძნებული სწავლება და სიმულაციები.

სასწავლო პროგრამის განსაკუთრებული მახასიათებელია ის, რომ კერძო სექტორის პროფესიონალები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში მოწვეული ლექტორების სახით. პრაქტიკული უნარების განვითარების აღწერისას, უნივერსიტეტი ასევე მიუთითებს სიმულაციურ დავალებებზე, რომლებიც მოიცავს მუშაობას რეალურ პროექტებზე, რომლებიც შესაბამისობაშია ბაზარზე არსებულ ბიზნეს პროცესებთან.

სასწავლო პროგრამაში შედის სავალდებულო „სტაჟირება ორგანიზაციაში“, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ განვითარებას რეალურ სამუშაო ადგილზე.

ვინაიდან ეს არის საბაკალავრო პროგრამა და მტკიცედ არის ორიენტირებული ბიზნესზე, კვლევითი კომპონენტი არ არის ისე მკვეთრად გამოხატული სასწავლო გეგმაში და ექსპერტთა ჯგუფი არ ელოდება მასზე ძლიერ აქცენტს. თუმცა, კვლევის ელემენტები ინტეგრირებულია რამდენიმე კურსში, სადაც სტუდენტებს მოეთხოვებათ ჩაატარონ და გამოიყენონ კვლევა ბიზნეს კვლევების კონტექსტში. ბიზნესის სწავლება თავისი არსით ითვალისწინებს გარკვეული ტრანსფერული უნარების განვითარებას, მაგალითად, ლიდერობის უნარებს, კონფლიქტების მოგვარებას, კომუნიკაციასა და პრეზენტაციას, რომლებიც ჩართულია როგორც ცალკე კურსების სახით, ან გათვალისწინებულია სილაბუსებში. სასწავლო გეგმაში

არჩევითი საგნებისთვის გამოყოფილია 9 კრედიტი, რომლებსაც სტუდენტები ირჩევენ თავიანთი სურვილების შესაბამისად.
ამ სასწავლო პროგრამის გამორჩეული ასპექტია დამატებითი 15 კრედიტი, რომელიც არ შედის სასწავლო პროგრამის კრედიტების ძირითად რაოდენობაში და რომლის გამოყენებაც სტუდენტებს შეუძლიათ იმ უნარების გასავითარებლად, რაც მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსი
- ინტერვიუები სასწავლო პროგრამის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	✓	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო
პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს ჩამოთვლილი აქვს სწავლებაში გამოყენებული მეთოდები. სწავლა–სწავლების კონკრეტული მეთოდები შეტანილია კურსის სილაბუსში, რომელიც შეთანხმებულია კონკრეტული საგნის სწავლებაში ჩართულ ყველა პერსონალთან - როგორც აფილირებულ, ისე მოწვეულ პერსონალთან.

ყველა კურსის შეფასება შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში შუალედური კომპონენტი ხორციელდება როგორც ერთი აქტივობა, სხვა კურსებში შუალედური კომპონენტი რეალურად შედგება რამდენიმე ქვეკომპონენტისგან, რომლებიც გროვდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
რამდენიმე შემთხვევაში სილაბუსები დაფიქსირებულია დათქმა "შუალედური გამოცდის გადატანა შეუძლებელია". ზოგჯერ ეს ეხება შუალედური შეფასების კონკრეტულ კომპონენტს, როგორიცაა ქვიზი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ჩანს, რომ ეს ვრცელდება მთლიან შუალედურ შეფასებაზე, მაშინ როცა შეფასება შედგება რამდენიმე ნაწილისგან, მაგალითად, "სტუდენტის აქტივობა სემინარზე (ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები)", "ინდივიდუალური წერითი ქვიზი", "პრეზენტაცია".

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუების დროს ამ საკითხზე ხაზი არ გაუსვამს, მაინც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოცდების გადაუვადებლობის წესი უნდა იყოს თანმიმდევრული და უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ კომპონენტებზე, რომელთა გადავადებაც მართლაც შეუძლებელია. შეფასების მოქნილობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის განმსაზღვრელი კომპონენტი. გადავადების აკრძალვის შესახებ ჩანაწერი მიანიშნებს, რომ სისტემა უფრო მოქნილი უნდა გახდეს. ამასთან, არსებული ინფორმაცია არ განმარტავს, როგორ უნდა მოიქცეს უნივერსიტეტი გამონაკლის შემთხვევებში - მაგალითად, როცა სტუდენტს აქვს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ან რთული ოჯახური მდგომარეობა.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კურსებისთვის გათვალისწინებული შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია და კარგად ასახავს საგნების განსხვავებულ არსს. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შეფასება იყოს კონკრეტული კურსის კრედიტების რაოდენობის პროპორციული და რომ 2, 3 და 4 კრედიტიანი კურსებისთვის გათვალისწინებული შეფასების მოცულობა იყოს უფრო დაბალი, ვიდრე 5 და 6 კრედიტიანი კურსებისთვის.

ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კურსის დასაწყისში მათ მიეწოდათ ინფორმაცია კურსის განრიგისა და დაგეგმილი შეფასების აქტივობების შესახებ. სტუდენტები ნამდვილად კმაყოფილები იყვნენ სასწავლო პროცესითა და გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით კი ხაზს უსვამდნენ ყველა პრაქტიკულ აქტივობას და საკუთარი სასწავლო პროგრამის შედგენის შესაძლებლობას. სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს პედაგოგებთან ნიშნების განხილვის შესაძლებლობა. ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, რომ ნიშნებთან დაკავშირებული უკმაყოფილება ან შენიშვნები გვარდება სტუდენტისა და პედაგოგის პირდაპირი დიალოგის გზით და არა ფორმალური საჩივრის პროცედურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსი
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები.

1. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსებში არსებული დათქმა "შუალედური გამოცდის/შეფასების გადავადება შეუძლებელია" ორი მიმართულებით: პირველი - ერთგვარად უნდა იყოს გამოყენებული ყველა სილაბუსში, და მეორე - ხელახლა უნდა შეფასდეს, რომელი კომპონენტების გადავადებაა შეუძლებელი, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მაქსიმალურად მოქნილი პირობები.

რჩევები

1. გააკონტროლეთ, რომ შეფასების აქტივობების რაოდენობა და კურსის სირთულე შეესაბამებოდეს კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	✓	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტთა შეფასების პროცესი მიმდინარეობს დადგენილი პროტოკოლების შესაბამისად. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს შეფასების სისტემის დეტალურ აღწერას. ამასთან, თითოეული სილაბუსი მოიცავს შეფასების კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის მიზნების მიღწევის შეფასებას.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების ადეკვატურ, გამჭვირვალე და სამართლიან შეფასების სისტემას, რომელიც შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას და ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტუდენტები ფასდებიან 100-ქულიანი სისტემით. შეფასება შედგება მრავალი კომპონენტისგან და შედგენილია "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია შეფასებისას გამოიყენოს ზემოხსენებული წესი.

გამოიყენება შეფასების შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – 41- 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
(F)- ჩაიჭრა - 40 ქულა ან ნაკლები, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმებით გაზომვადი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. სასწავლო პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://agruni.edu.ge/ge/about-us/?about-us=Documents

შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (emis.campus.edu.ge), რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე, საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

უნივერსიტეტი არ იყენებს პლაგიატის აღმოჩენის სპეციალურ პროგრამას. პლაგიატს ან აკადემიურ არაკეთილსინდისიერებას ავლენს ადმინისტრაცია, ლექტორები ან სტუდენტთა ნაშრომების შემოწმებასა და შეფასებაში ჩართული პირები. პლაგიატის ან აკადემიური არაკეთილსინდისიერების დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი შესაბამის საგანში მიიღებს F შეფასებას. თითოეული სილაბუსი მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას პლაგიატისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების შესახებ.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სტუდენტთა საჩივრების მექანიზმები, აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოები, რაც ხაზგასმულია სტუდენტთა ეთიკის კოდექსში, გამოცდების ჩატარების წესებსა და აკადემიური პერსონალის ეთიკის კოდექსში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ამოწმებს სტუდენტთა შეფასებების სანდოობასა და ვალიდურობას. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;

- სილაბუსები;
- ელექტრონული მონაცემთა ბაზა (emis.campus.edu.ge);
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- გამოცდების ჩატარების წესები;
- აკადემიური პერსონალის ეთიკის კოდექსი;
- გასაბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტთა შეფასება	✓	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს დანერგილი და განვითარებული აქვს სტუდენტთა მხარდაჭერისა და საკონსულტაციო სერვისები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო პროცესის დაგეგმვას, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებას. სტუდენტებისთვის ინფორმაციის გავრცელება იწყება საორიენტაციო შეხვედრებით სასწავლო პროცესის პირველივე დღეს, განსაკუთრებით პირველკურსელი სტუდენტებისთვის. ფაკულტეტისა და შესაბამისი პროგრამის წარმომადგენლები ხვდებიან მათ და აწვდიან ინფორმაციას ყველა საჭირო საკითხზე. ასევე, პროგრამაში ჩართული პერსონალი და მხარდამჭერი დეპარტამენტები უზრუნველყოფენ სტუდენტებს შესაბამისი ინფორმაციით უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების შესახებ.

ფაკულტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა სივრცესა და აღჭურვილობას და სტუდენტურ სივრცეებს არა სააუდიტორიო აქტივობებისთვის.

ინფორმაცია საერთაშორისო მობილობის შესახებ, ისევე როგორც ზოგიერთი საერთაშორისო პროექტის თაობაზე, ხელმისაწვდომია ელექტრონული ფოსტით. უნივერსიტეტი არაერთ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობაში; ძირითადად ორმხრივად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ზოგიერთ უნივერსიტეტთან. დაწესებულება სტუდენტებს აძლევს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების გარეთ არსებული საერთაშორისო პროექტებისა თუ ღონისძიებების შესახებ. გასაუბრებისას, სტუდენტებმა გამოხატეს დაბალი ინტერესი და მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით აკადემიურ პროგრამებში. ასევე, მათ ამ მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე შესაძლებლობას

გაუსვეს ხაზი. შესაბამისად, სასურველია სტუდენტებში მეტად პოპულარული გახადოთ გაცვლითი შესაძლებლობები და წაახალისოთ ისინი, რომ მიიღონ მონაწილეობა.

სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის ფარგლებში ასევე მოქმედებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც სტუდენტებს უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციითა და დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციული ღონისძიებებით. კარიერის განვითარების მენეჯერი ყოველდღიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. სტუდენტებს ხშირად უწევენ კონსულტაციას და აძლევენ რეკომენდაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით. სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამხაური აწყობს ტრენინგს სტუდენტებისთვის, რათა დაეხმაროს მათ შეადგინონ უკეთესი CV და მიაღწიონ წარმატებას გასაუბრების დროს.

ინფორმაციის გასავრცელებლად, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი იყენებს შემდეგ საშუალებებს: უნივერსიტეტის ვებგვერდებს (https://agruni.edu.ge/ge/, https://emis.campus.edu.ge/), უნივერსიტეტის ელ- ფოსტას, ინდივიდუალურ/ პირისპირ კომუნიკაციას სტუდენტებთან.

ზემოთ ჩამოთვლილი სერვისების გარდა, აკადემიური, მოწვეული და სხვა ადმინისტრაციული პერსონალი ასევე ჩართულია სტუდენტების კონსულტირებაში სასწავლო პროცესთან, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით, რაც დადასტურდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების დროს.

უნივერსიტეტი ცდილობს ცხრილი მოარგოს სტუდენტების მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უკეთესი იქნებოდა დაბალი კურსების სტუდენტების ცხრილი უფრო მოქნილი რომ ყოფილიყო, მაგალითად, საღამოს საათებში (18:00 საათიდან).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ჩატარების ჩამონათვალი;
- ელექტრონული მონაცემთა ბაზა (https://agruni.edu.ge/ge/, https://emis.campus.edu.ge/)
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

1. სასურველია, პოპულარიზაცია გაუწიოთ სტუდენტებში გაცვლით შესაძლებლობებს და წაახალისოთ ისინი, რომ მიიღონ მონაწილეობა.
2. სასურველია, მოარგოთ სასწავლო განრიგი სტუდენტების საჭიროებებს, განსაკუთრებული ეს ეხება პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს, მათთვის საღამოს საათებში სასწავლო გრაფიკის დანიშვნას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	✓	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ- მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	✓	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისა და

განხორციელების პროცესებში ჩართული ადამიანური რესურსები მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს (კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსი).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ეროვნული კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების გათვალისწინებით.. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხდება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცესის საშუალებით, რომელიც მეტწილად შეესაბამება საქართველოს კანონს "უმაღლესი განათლების შესახებ" და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ზოგადად, ავლენს პროგრამით/ კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს. ლექტორების კვალიფიკაცია დასტურდება მათი პროფესიული გამოცდილებით; მათი უმრავლესობა არის პრაქტიკოსი, აქვთ გამოცდილება ბიზნესის მართვაში ან ბიზნეს ოპერაციებში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კომპანიების სტრატეგიულ/ოპერაციულ დონეზე. ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე მენეჯმენტი იცნობს საკუთარ როლებს, სიღრმისეულად იცის საკუთარი დარგი და წარმოადგინეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროფესიული მიღწევების შესახებ. თუმცა, ზოგიერთ ლექტორს ნაკლები გამოცდილება აქვს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის მიმართულებით და არ აქვს მინიჭებული აკადემიური ხარისხი. (აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებითა და CV-ებით. ამ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია ნათლად აჩვენებს, რომ ზოგიერთი ლექტორის აკადემიური კვალიფიკაცია არ იყო დადასტურებული სამეცნიერო ნაშრომებით ან კვლევითი პროექტებით). აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის (ზოგ შემთხვევაში ასევე მოწვეულის) პასუხისმგებლობები სცდება სწავლებასა და კვლევას. ისინი ასევე მონაწილეობენ პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებასა და მხარდაჭერაში, და პროგრამით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებში, უნივერსიტეტის პოლიტიკისა და ფაკულტეტის ხელშეკრულებების შესაბამისად (რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის შედეგებით).

თუმცა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უნდა ეცნობოდეს უახლეს მიღწევებს თავიანთ დარგებში სწორედ კვლევებში აქტიური მონაწილეობითა და აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნებით. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით ან პრაქტიკული პროექტებით, რაც ადასტურებს მათ ექსპერტიზას შესაბამის დარგში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, აქვს კარგი პროფილი და გააჩნია ის ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რომელიც საჭიროა პროგრამის განვითარების ეფექტური ხელმძღვანელობისთვის. მისი ჩართულობა შეფასების, განხორციელების, სტუდენტების კონსულტირებისა და შესაბამისი სასწავლო აქტივობების ორგანიზების პროცესში ნათლად იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, ორგანიზებას უწევს პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად იკავებს დეკანის პოზიციას საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. ის ასევე ხელმძღვანელობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო/ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში და არის ამ უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანი. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა ის რისკები/ საკითხები, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს დეკანისა და ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ეფექტურ შესრულებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა პერსონალთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია და უზრუნველყოფს პროგრამის არსებით მხარდაჭერას. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ პროგრამაში ჩართული პერსონალი (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე ან/ და მოწვეული) ერთდროულად იკავებს იმავე პოზიციას თავისუფალ უნივერსიტეტში (ან სხვა უსდ-ში). ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით, ასეთი შემთხვევები აფერხებს დაკისრებული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ეფექტურ შესრულებას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მთლიანობაში, პერსონალის კვალიფიკაცია მეტწილად შეესაბამება მოთხოვნილ კომპეტენციებს, პასუხისმგებლობებს და მოქმედ კანონმდებლობას (კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების მოთხოვნებს). ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს, ზოგადად, მხარს უჭერს საკმარისად კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე შესაბამისი კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული და პროგრამის მხარდამჭერი პერსონალი (რაც დასტურდება სტუდენტთა კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვის შედეგებითა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებებით). ამგვარად, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ზოგადად, მეტწილად შეესაბამება მათ ფუნქციებს.

თვითშეფასების ანგარიშში, აკადემიურ პერსონალსა და ჩარიცხულ სტუდენტთა შორის თანაფარდობასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ საქართველოს აგრარულ

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი უნდა შედგებოდეს:

· არანაკლებ 15% პროფესორებისა და ლექტორებისგან.

· სამეცნიერო პერსონალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15%-ს.

· მოწვეული პერსონალი არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს.

ასევე, ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც იძლევა პერსონალის დატვირთვის მონიტორინგის საშუალებას, პროგრამის ფარგლებში როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და სრული დატვირთვის გათვალისწინებით. ეს სქემა შეესაბამება უნივერსიტეტის რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს პერსონალის საქმიანობასა და საკადრო პოლიტიკას.

ზემოხსენებული მეთოდოლოგია და დატვირთვის სქემა ეხმარება უნივერსიტეტს შეინარჩუნოს ბალანსი მუდმივ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ყველა დაკისრებული ფუნქციის დროულ შესრულებას. პროგრამას გააჩნია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის შესაბამისი თანაფარდობა.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უსდ-ში აკადემიურ პერსონალსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის თანაფარდობა შესაბამისია და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზეც შესაბამისი თანაფარდობაა. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს, უზრუნველყოფს სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა და ყველა დაკისრებული ფუნქციის დროულ შესრულებას. ასევე, თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

თუმცა, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის პერსონალის დატვირთვა (სემესტრის მიხედვით), სადაც აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არ იყო მისაღები პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი. (ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ მოცემულია ქვემოთ).

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა სულ - 57	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი სულ - 23	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [4] სულ - 4	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**7**	**0**	**0**	**4**
- პროფესორი	2	0	0	2
- ასოცირებული პროფესორი	1	0	0	1
- ასისტენტ–პროფესორი	4	2	1	**1**
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	47	20	3	0
სამეცნიერო პერსონალი	3	0	0	0

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში სულ ჩართულია 57 პირი, მათ შორის 7 აკადემიური პერსონალი და 47 მოწვეული ლექტორი. (თანდართული დოკუმენტები შეიცავს 57 პირის CV-სა და დიპლომებს).

[4] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

აკადემიური პერსონალი შედგება 2 პროფესორის, 1 ასოცირებული პროფესორისა და 4 ასისტენტ- პროფესორისგან, მათგან 4 არის უნივერსიტეტთან აფილირებული. მათ შორის მხოლოდ 1 პირს, რომელიც იკავებს ასისტენტ- პროფესორის პოზიციას, მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში. 2 პირს (ასისტენტ- პროფესორს და ბიზნესის სკოლის დეკანს) მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების ამ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებულია 3 მეცნიერი. აკადემიური - 7 / მოწვეული პერსონალი - 47 / მეცნიერი - 3. მოწვეულ პერსონალს შორის 7 ლექტორს აქვს დოქტორის ხარისხი (მათ შორის 3- ს - დარგობრივი მიმართულებით); 27 ლექტორს მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი (8 ლექტორს - დარგობრივი მიმართულებით); 14 ლექტორს აქვს ბაკალავრის ხარისხი (9 ლექტორს - დარგობრივი მიმართულებით). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას აქვს მოწვეულ პერსონალსა და აკადემიურ პერსონალს შორის შედარებით მაღალი თანაფარდობა (თანაფარდობა: 6.71 მოწვეული ლექტორი ყოველ 1 აკადემიურ პერსონალზე), რაც შეიძლება მიუთითებდეს მოწვეულ ლექტორებზე ზედმეტ დამოკიდებულებას. თუმცა, გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ ეს საკითხი გვარდება მოწვეულ პერსონალთან გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმების გზით და არსებობს მოწვეული პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები.

პერსონალის დენადობის/ შენარჩუნების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის) მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალში, დენადობის მაჩვენებლით 50.0%. ეს მიუთითებს პედაგოგიური პერსონალის პოტენციურ არასტაბილურობაზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს განათლების უწყვეტობასა და ხარისხზე. აკადემიური პერსონალის დენადობასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა შემდეგი: - ახალი აკადემიური პერსონალი - 1 / წასული აკადემიური პერსონალი - 3; თანაფარდობა: ახალი მოწვეული პერსონალი - 28 / წასული მოწვეული პერსონალი - 22. თანაფარდობა: დენადობა - 50.0% / შენარჩუნება - 46.3%.

სტუდენტთა ჩარიცხვასა და თანაფარდობებთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხულია 629 სტუდენტი. სტუდენტების თანაფარდობა აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან ძალიან მაღალია - აფილირებული აკადემიური პერსონალი - 4 / სტუდენტები: 629, (157.25 სტუდენტი 1 აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე). აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი - 60 / სტუდენტები - 629, თანაფარდობა - 10.483 სტუდენტი აკადემიურ/ სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალზე. სულ - პერსონალი/სტუდენტები - 2: 0.10.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარების სამეცნიერო-კვლევით ასპექტებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სულ აღრიცხულია 125 სამეცნიერო აქტივობა, მათ შორის: 58 გამოქვეყნებული ნაშრომი (19 ადგილობრივ ჟურნალებში და 38 საერთაშორისო ჟურნალებში), 18 საკონფერენციო პრეზენტაცია (10 ადგილობრივ კონფერენციებზე და 8 საერთაშორისო კონფერენციებზე), 50 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი აქტივობა.

პროგრამა ავლენს სუსტ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პუბლიკაციებისა და საკონფერენციო პრეზენტაციების მრავალფეროვანი სპექტრით. ეს შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის გლობალური ჩართულობისა და აკადემიური პერსონალის ფართო აკადემიურ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის სუსტ მხარედ.

ამგვარად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური ანალიზისა და ადგილზე ვიზიტს დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მდგრადი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობისთვის პროგრამა საჭიროებს გაძლიერებას აკადემიური/ აფილირებული პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით, განსაკუთრებით დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში (და თანდართული დოკუმენტები)
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და სამოქმედო გეგმა
- პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა (სემესტრში)
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები: აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხისა და მდგრადი განხორციელების უზრუნველსაყოფის მიზნით, გაიზარდოს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული) დატვირთვას, რაც გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა უნივერსიტეტებში (ან ორგანიზაციებში) მათ მიერ პარალელურად დაკავებული პოზიციები და მათი საერთო დატვირთვა რჩევები:

1. სასურველია, საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიეროთ და მხარი დაუჭიროთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებას და კვლევით აქტივობებში მათ მონაწილეობას

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	☐	☐	✓	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

არ ეხება

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, , რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას, მხარს უჭერს მათ პროფესიულ განვითარებას როგორც აკადემიური,

ასევე სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებით. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, შეფასების მეთოდებსა და დატვირთვის სქემას. ეს სქემა განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის სავალდებულო აკადემიურ/კვლევით საქმიანობას და აკადემიური მხარის გარდა, დეტალურად აღწერს სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებს, თითოეულისთვის კონკრეტული დროის (საათების) მითითებით. შეფასების ორგანიზებასა და ანალიზზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ პერსონალის ყოველწლიური საქმიანობის შეფასების შედეგებს აკონტროლებს ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი და კვლევითი საქმიანობის კოორდინატორი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი პასუხისმგებელია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც მოიცავს: (ა) აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მეთოდების შემუშავებას; (ბ) უნივერსიტეტში თანამედროვე სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობას; (გ) აკადემიური პერსონალის მხარდაჭერასა და ხელმძღვანელობას სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების სილაბუსებში ეფექტურად ინტეგრირების საკითხებში; (დ) ტრენინგების ჩატარებას აკადემიური პერსონალის სწავლების მეთოდოლოგიებისა და შეფასების სისტემების გასაუმჯობესებლად; (ე) სილაბუსების უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმებზე განთავსების უზრუნველყოფას; (ვ) აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესში საჩვენებელ ლექციებში მონაწილეობას; (ზ) საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიურ განვითარებაში წვლილის შეტანას.

კვლევითი საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ კვლევითი საქმიანობის კოორდინატორი პასუხისმგებელია სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე, რაც მოიცავს ახალი საგრანტო შესაძლებლობების შესწავლას, საკონკურსო პირობების განხილვას და ინფორმაციის გავრცელებას; საკონკურსო დოკუმენტაციის შეგროვებას და დამუშავებას, ასევე, მეცნიერთათვის საგრანტო განაცხადების დოკუმენტაციის ორგანიზებას; სამეცნიერო პროექტების ბიუჯეტების შემუშავებას; წლიური და შუალედური ანგარიშების მომზადებას, მიმდინარე და დასრულებული გრანტების აღრიცხვის წარმოებას; სამეცნიერო რეიტინგების შედგენას; საგრანტო კონკურსების კოორდინატორებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარებას; სამეცნიერო მომსახურებასთან დაკავშირებული შეხვედრების, კონფერენციების, პრეზენტაციების, სემინარებისა და უნივერსიტეტის შიდა პროექტების კოორდინაციას; პროექტების ბიუჯეტების შემუშავებასა და ვებგვერდის ინფორმაციის განახლებას; კვლევების ჩატარებით, აუცილებელი ინფორმაციის დამუშავებასაა და ანალიზს; დოკუმენტაციის ანალიზისა და დამუშავებისთვის მეცნიერებთან კომუნიკაციას; საჭირო სხვადასხვა სახის მიმდინარე დოკუმენტაციის წარმოებას.

ექსპერტთა ჯგუფს ასევე ეცნო, რომ ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშები მოიცავს აკადემიური მოსწრებას სავალდებულო და არჩევითი სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას, როგორც ეს უნივერსიტეტის კვლევის კონცეფციასა და შეფასების წესებშია განსაზღვრული.

ზემოხსენებულ სქემაში მითითებულია, რომ სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობა ფასდება წელიწადში ერთხელ, როდესაც სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ეგზავნება კვლევითი საქმიანობის კოორდინატორს, რომელსაც ეცნობა რექტორი და კვლევითი საქმიანობის კოორდინატორი.

შეფასების მეთოდთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ეს კომპლექსი მოიცავს ბიბლიომეტრულ მონაცემებს და სხვა ტიპის აქტივობებს, რაც მეცნიერის მოტივაციისა და რესურსების ადეკვატურად განაწილების საშუალებას იძლევა. მეცნიერის საქმიანობა ფასდება ყოველწლიურად როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების/ მიმართულებების მიხედვით, და შედეგები ანალიზდება 3-წლიანი დინამიკის თვალსაზრისით.

შეფასება ხორციელდება შემდეგი რვა კრიტერიუმის გათვალისწინებით: (ა) „ცოდნის ფონდისა“ და უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი დაფინანსება; (ბ) მეცნიერთა მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და ოდენობა; (გ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და სივრცის გამოყენება; (დ) იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი; (ე) სამეცნიერო ციტირების ინდექსი (არსებობის შემთხვევაში); (ვ) გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები; (ზ) სასწავლო პროცესში ჩართულობა (წლიური აკადემიური დატვირთვა, საათების რაოდენობა); (თ) დოქტორანტების ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში და დაცული დისერტაციების რაოდენობა.

კოეფიციენტები გამოითვლება პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების მექანიზმების შესაბამისად. თითოეული კრიტერიუმი ჯამდება თითოეული მაჩვენებლის გამოთვლის შემდეგ და მიიღება საბოლოო ქულები. პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს აკონტროლებს კვლევითი საქმიანობის კოორდინატორი რექტორთან ერთად, და საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასებისას უნივერსიტეტი იყენებს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სქემას, რომელიც განსაზღვრავს შეფასების შემდეგ სამ ძირითად კომპონენტს: (ა) პედაგოგიური უნარები; (ბ) კურსის მართვა; (გ) პროფესიული/ კვლევითი საქმიანობა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ზოგადად, პედაგოგიური უნარები ფასდება ორჯერ: პირველად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ადმინისტრაცია აფასებს პერსონალის საქმიანობას, შეფასება ორიენტირებულია შერჩეული სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესაბამისობაზე სასწავლო კურსთან. ხოლო, სასწავლო კურსისთვის შესაბამისი

პედაგოგიური უნარების ხარისხს სტუდენტები აფასებენ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

კურსის მართვასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ისევე როგორც შესაბამისი სკოლის/ პროგრამის ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესის დაწყებამდე აფასებს სილაბუსის თანმიმდევრულობას, ხოლო ნიშნების განაწილების სიმეტრიულობა ფასდება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, საგნის მართვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ/ ლოჯისტიკურ საკითხებს (სილაბუსის დაცვა, შეფასების დროულობა, პუნქტუალობა, ლექტორის დასწრება) აფასებს სტუდენტი.

პროფესიული/კვლევითი საქმიანობა არის ზემოხსენებული სქემის მესამე კომპონენტი და ფოკუსირებულია ამ სფეროში აკადემიური/ მოწვეული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგზე, გაზომვასა და შეფასებაზე. ზემოაღნიშნული გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, პერსონალის პროფესიული საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება CV-ების ანალიზისა და სხვა შესაბამისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც აწვდის რექტორი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, კვლევითი საქმიანობის კოორდინატორი და შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სქემის ფარგლებში, პედაგოგიური უნარებისა და საგნის მართვის კრიტერიუმები იზომება ქულებით, სადაც მაქსიმალური (დადებითი) ქულა არის 5, ხოლო მინიმალური (უარყოფითი) ქულა - 1 (ძალიან კარგი - 5, კარგი - 4, ნეიტრალური - 3, ცუდი - 2, ძალიან ცუდი - 1). როდესაც კრიტერიუმი რამდენჯერმე და/ ან ერთზე მეტი შემფასებლის მიერ ფასდება, საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის მეთოდით. ხსენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, პედაგოგიური უნარებისა და საგნის მართვის კრიტერიუმების შეფასების შედეგების ანალიზისას, ცუდი/ ძალიან ცუდი შეფასების შემთხვევაში, ხდება საკითხის შესწავლა, გადაწყვეტილებების განსაზღვრა და შემდგომი რეაგირება. ნეიტრალური შეფასების შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ მნიშვნელოვანი პრობლემა არ გამოვლინდა. თუ შეფასება არის ძალიან კარგსა და კარგს შორის, მიიჩნევა, რომ უნივერსიტეტის მიერ პერსონალის განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ეფექტურია. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სქემის ფარგლებში, პროფესიული/კვლევითი საქმიანობის კომპონენტი ფასდება ბინარული სისტემით (კერძოდ, დამაკმაყოფილებელი/არადამაკმაყოფილებელი). არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში, საკითხი შეისწავლება, გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები და იგეგმება განვითარების ზომები/აქტივობები შედეგის გამოსასწორებლად. დამაკმაყოფილებელი შედეგის დადგენის შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ უნივერსიტეტის კვლევითი და პროფესიული საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები ეფექტურია.

პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს პროფესიული განვითარების

ხელშეწყობის, ხარისხიანი კვლევების ან სამსახურებრივი მივლინებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს შესაბამის სემესტრში მათი დატვირთვის შემცირებას ან გადანაწილებას, ასევე უზრუნველყოფს ფიქსირებული ხელფასების შენარჩუნებას, რომელსაც პერსონალი სურვილის მიხედვით გამოიყენებს საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ქმნის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ამ მიზნით, აკადემიური პერსონალი მიმართავს დამფუძნებელ ორგანიზაციას, ცოდნის ფონდს ან საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს მათი სამეცნიერო საქმიანობის (სტატიის გამოქვეყნება, კონფერენციის ორგანიზება ან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, ეროვნული ან საერთაშორისო გრანტის განხორციელება და ა.შ.) დაფინანსების ან თანადაფინანსების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტი ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს აკადემიური პერსონალისთვის (ინდივიდუალურად პროგრამების მიხედვით) აკადემიურ პროცესებში სრული ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ეს საორიენტაციო შეხვედრები მიზნად ისახავს პერსონალის მხარდაჭერას, უზრუნველყოფს იმას, რომ სილაბუსები და შეფასების სისტემები ეფუძნება სათანადო მეთოდოლოგიას; სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების დახვეწასა და გაუმჯობესებას; თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ტექნიკის დანერგვას; ელექტრონული მართვის სისტემის ეფექტურ გამოყენებას; სათანადო რეესტრის შექმნას და ა.შ. საორიენტაციო შეხვედრებს ატარებენ ვიცე-რექტორები, სკოლის დეკანი/პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ავითარებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის მეთოდებსა და მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამის უზრუნველსაყოფად, ჩვეულებრივ გამოიყენება ტრენინგი და კონსულტაცია. ტრენინგი უფრო მეტად ფოკუსირებულია აკადემიური პერსონალისთვის სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპების, სტრატეგიებისა და ტენდენციების გაცნობაზე, მათ შორის სილაბუსების შემუშავების მეთოდოლოგიაზე, შეფასების სისტემებზე, ცოდნის შეფასების ფორმებსა და სწავლის შედეგებზე. ხოლო კონსულტაცია ადგენს საორიენტაციო შეხვედრების გეგმას, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის დახმარებას შემდეგ საკითხებში: სილაბუსების მომზადება სათანადო მეთოდოლოგიით, კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის შემუშავება, ან შეფასების მეთოდების დადგენა თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიებისა და მიდგომების შესაბამისად.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში აკადემიური პერსონალის მაღალეფექტური ჩართულობის ხელშეწყობისა და სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი პროაქტიულად იყენებს წინასწარ დაგეგმილ პერიოდულ

ტრენინგებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. რეაქტიული მიდგომა გამოიყენება შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გადასაჭრელად, აკადემიური პერსონალის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებისთვის, რაც ეხმარება მათ სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების დახვეწაში. შესაბამისად, პედაგოგიური უნარების შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის გამოიყენება საერთაშორისო ტრენინგის მექანიზმები.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში აკადემიური პერსონალის მაღალეფექტური ჩართულობის ხელშეწყობისა და სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი პროაქტიულად იყენებს წინასწარ დაგეგმილ პერიოდულ ტრენინგებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. რეაქტიული მიდგომა გამოიყენება შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გადასაჭრელად, აკადემიური პერსონალის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებისთვის, რაც ეხმარება მათ სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების დახვეწაში. შესაბამისად, პედაგოგიური უნარების შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის იგეგმება საერთაშორისო ტრენინგები. ზემოაღწერილი მექანიზმების მეშვეობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ეფექტურ პროფესიულ განვითარებას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (კერძოდ, უნივერსიტეტის სასწავლო კურსებსა და პროგრამებში ჩართული პერსონალისა და ფაკულტეტის საქმიანობის შეფასების შესახებ გამოკითხვების ანგარიშში) აღნიშნული იყო, რომ საანგარიშო პერიოდში პერსონალის პროდუქტიულობა იყო დამაკმაყოფილებელი, რაც დასტურდება მიღებული შედეგებით. 2022-2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს დაურიგდათ სულ 16752 ინდივიდუალური გამოკითხვა კურსების/ლექტორების შესაფასებლად. აქედან უკუკავშირი მიღებული იქნა 1109 გამოკითხვაზე, რაც დაახლოებით 7%- იან მონაწილეობის მაჩვენებელს შეადგენს. ინდივიდუალური კურსების გამოკითხვების საშუალო მონაწილეობის მაჩვენებელიც 7% იყო.

შეფასებების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო კურსების/ ლექტორების გამოკითხვაში ყველა კრიტერიუმის საერთო საშუალო შეფასება იყო 4.4 მაქსიმალური 5 ქულიდან. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შეფასებების შეჯამებამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილი იყო აკადემიური საქმიანობით.

მთლიანი გამოკითხვებიდან 353 ეხებოდა სასწავლო კურსებს/ ლექტორებს, ხოლო 20 ფოკუსირებული იყო ადმინისტრაციის საქმიანობაზე. სასწავლო კურსების გამოკითხვებიდან პასუხები მიღებულ იქნა 239 გამოკითხვაზე (დაახლოებით 68%), ხოლო ადმინისტრაციის

გამოკითხვებიდან - 18 (90%). ანგარიშში წარმოდგენილი იყო მიღებული უკუკავშირისა და მისი შედეგების მიმოხილვა.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებისა და სწავლების (ზემოხსენებული სქემის პედაგოგიური უნარებისა და კურსის მართვის კომპონენტები) საერთო შეფასება თითქმის ყველა კრიტერიუმში იყო 4 ქულა ან მეტი. ეს მიუთითებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ სასწავლო კურსები და მათი სწავლება შეაფასა კრეტერიუმებით 'კარგი' და 'ძალიან კარგი'. კერძოდ, დადებითად შეფასდა შემდეგი მაჩვენებლები: საგნის მიწოდება - 4.37, კომუნიკაციის სიმარტივე - 4.3, შეფასების სისტემის ადეკვატურობა - 4.17, კურსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა - 4.24, კურსის საერთო შეფასება - 4.19. დადებითი შეფასებები დაფიქსირდა ასევე ლოჯისტიკურ ასპექტებთან დაკავშირებით. კერძოდ, შემდეგ კრიტერიუმებში: პუნქტუალობა - 4.67, შეფასების დროულობა - 4.32, ლექტორის დასწრება - 4.7, გაცდენილი მეცადინეობების აღდგენის დაგეგმვა - 4.47, სასწავლო გეგმის დაცვა - 4.58.

ამგვარად, საანგარიშო პერიოდში სასწავლო კურსების, პროგრამების აკადემიური პერსონალის შესახებ გამოკითხვებიდან მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში კითხვარებში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით მნიშვნელოვანი პრობლემები არ გამოვლენილა. დაბალი გამოხმაურების მაჩვენებელი და პასიურობა, როგორც გამოცდილებითა და შემდგომი გასაუბრებებით დადგინდა, ინტერპრეტირებულია როგორც ზოგადი კმაყოფილებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების არარსებობის ნიშანი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ანგარიში არ შეიცავს პერსონალურად იდენტიფიცირებად ინფორმაციას და ინდივიდუალურ შემთხვევებთან დაკავშირებულ ვრცელ ინფორმაციას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. ამგვარად, გამოვლინდა შემდგომი გაუმჯობესების რამდენიმე სფერო, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება ერთობლივი ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზების გზით, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული მიზნობრივი ტრენინგ-სესიების ჩატარება.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის აკადემიური, კვლევითი და/ ან ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოგვთავაზა 360- გრადუსიანი შეფასების ყოვლისმომცველი სისტემის დანერგვა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალის გამჭვირვალე ანაზღაურებისა და წახალისების სქემასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და სამოქმედო გეგმა;
- პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასებისმექანიზმები.
- 2022- 2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრი, გამოკითხვის ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

1. სასურველია, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება ერთობლივი ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზების გზით, ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული მიზნობრივი ტრენინგ-სესიების ჩატარება.
2. სასურველია, 360-გრადუსიანი შეფასების ყოვლისმომცველი სისტემის დანერგვა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალის გამჭვირვალე ანაზღაურებისა და წახალისების სქემასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	✓	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამას, მხარს უჭერს ბიბლიოთეკებისა და ლაბორატორიების ძლიერი სისტემა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ბიბლიოთეკაში არსებობდეს სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა კურსების ძირითადი ლიტერატურის რამდენიმე დასახელება, როგორც აღმოჩნდა, უმეტესობა წარმოადგენს წიგნების დასკანერებულ ასლებს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოების დასკანერებული ასლები განკუთვნილია საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უნივერსიტეტმა გულდასმით უნდა გაითვალისწინოს საავტორო უფლებების რეგულაციები იმ სახელმძღვანელოების სრულად გაციფრულებისას, რომლებიც იყიდება და ხელმისაწვდომია. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ეს პრაქტიკა შეესაბამებოდეს საერთაშორისო პრაქტიკასა და საავტორო უფლებების კანონების პრინციპებს, სამართლებრივი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე (ამჟამად, მხოლოდ ScienceDirect და Scopus, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში, რომლის საფასურს იხდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს მასალებით, უახლესი მიღწევების შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ScienceDirect ძირითადად ფოკუსირებულ ია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მედიცინაზე. სასწავლო რესურსების შემდგომი გამდიდრების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა ბიზნესის სფეროსთვის სპეციფიკური ჟურნალები ან ქეისები გამოიწეროს. უფრო რელევანტური იქნებოდა ბიზნეს განათლების და კვლევის მიმართულების მასალებით უზრუნველყოფა.

ტექნიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა უზრუნველყო ტექნიკური მოწყობილობების რაოდენობის ადეკვატური თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. მასალების ხელმისაწვდომობა ზოგადად არ შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტებით, არამედ ვრცელდება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზეც, რაც უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობის ინკლუზიურობას. გარდა ამისა, სტუდენტებმა კარგად იციან არსებული რესურსების შესახებ და ინფორმირებულნი არიან მათი ეფექტური გამოყენების თაობაზე, რაც აუმჯობესებს მათ სასწავლო პროცესს.

თუმცა, აღწერილი რესურსების მიუხედავად, უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას საბიბლიოთეკო ობიექტების შესახებ, რომლებიც ამ ქვესტანდარტის ძირითად კომპონენტს წარმოადგენენ. ინფორმაციის ეს ნაკლებობა შესამჩნევია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ქვესტანდარტი ძირითადად ფოკუსირებულია ბიბლიოთეკისა და შესაბამისი რესურსების ხარისხის შეფასებაზე. ვინაიდან ბიბლიოთეკის შესახებ ყველა შესაბამისი მონაცემი შეგროვდა ადგილზე ვიზიტის დროს, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ეს საკითხი თვითშეფასების სამომავლო ამგარიშში, და უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსების უფრო დეტალური შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ობიექტების დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

რჩევები:

11. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს საავტორო უფლებების მარეგულირებელი წესები იმ სახელმძღვანელოების სრულად გაციფრულებისას, რომლებიც ხელმისაწვდომია შესაძენად, რათა უზრუნველყოს ამ პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან და საავტორო უფლებების

კანონმდებლობის პრინციპებთან, პოტენციური სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

12. სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიწეროს ბიზნესის სფეროსთან და ბიზნესქეისებთან დაკავშირებული სპეციფიკური ჟურნალები და ბაზები სასწავლო რესურსების შემდგომი გამდიდრების მიზნით.

სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში 4.4 ქვესტანდარტის აღწერა უშუალოდ ეხებოდეს საბიბლიოთეკო სერვისებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საბიბლიოთეკო რესურსების უფრო სრულყოფილი შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	✓	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის (განსაკუთრებით, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსური მოდელისა და ოპერაციების აღმწერი დოკუმენტის) და გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უსდ მუშაობს ცენტრალიზებული საბიუჯეტო მოდელით, სადაც ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება საერთო ფონდიდან და არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, შესაბამისად, ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს.

შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მიზნობრივია და მოიცავს ინსტიტუციის ძირითად მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმებს. უნივერსიტეტში საბიუჯეტო გადაწყვეტილებებს იღებენ რექტორი და კანცლერი. ახალი ბიუჯეტის მომზადებისას მხედველობაში მიიღება წინა წლის ბიუჯეტი. ფინანსური ანალიტიკოსი, რექტორთან და კანცლერთან ერთად, აკეთებს მომავალი წლის მოსალოდნელი მთლიანი შემოსავლისა და საოპერაციო ხარჯების პროგნოზს, პრიორიტეტებისა და მიზნების გათვალისწინებით. ზემოხსენებული პირები ხელმძღვანელობენ ბიუჯეტის შესრულებას. ასევე, ბიუჯეტის კონტროლს ახორციელებენ რექტორი და კანცლერი ფინანსური ანალიტიკოსების მიერ მომზადებული მიმოხილვების საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უნივერსიტეტის საქმიანობის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების სწავლის საფასურიდან მიღებული თანხა (მთლიანი შემოსავლის 65.7%). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თავის მხრივ, სტუდენტთა სწავლის საფასური შედგება შემდეგი ძირითადი წყაროებისგან: - სტუდენტთა გადახდები 62%; - სახელმწიფო გრანტები 35%; - ცოდნის ფონდი - "საგზური" 2%; - სხვა დაფინანსება 1%. სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (მთლიანი შემოსავლის 14.7%), ცოდნის ფონდის პირდაპირი დაფინანსება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის (მთლიანი შემოსავლის 6.1%) და შემოსავალი სხვა საგანმანათლებლო- პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან (მთლიანი შემოსავლის 13.5%).

წარმოდგენილი დოკუმენტების გარდა, გასაუბრებების დროს უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ უსდ ფინანსურად სტაბილურია, სრულად, სათანადოდ და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- სტუდენტთა ნაკადების განსაზღვრის სიმარტივე - უნივერსიტეტის შემოსავალი რჩება სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი, რადგან ყოველწლიურად თითქმის 100%- ით ავსებს გამოცხადებულ სტუდენტთა კონტინგენტს;

- საქველმოქმედო ორგანიზაციის შვილობილი კომპანია - აღსანიშნავია, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არის საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ "ცოდნის ფონდის" ნაწილი, რომელსაც კანონის თანახმად არ ჰყავს დივიდენდებით დაინტერესებული კერძო ბენეფიციარები;

- 100%-იანი რეინვესტირება განათლებაში - უსდ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის მიზანია საქართველოში განათლების ხელშეწყობა. ყოველწლიური შემოსავლის ნამატი მთლიანად იბანდება განათლებაში. ეს თანხები ასევე გამოიყენება სარეზერვო დეპოზიტის გასაზრდელად, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კიდევ უფრო უსაფრთხო ფინანსურ ბალანსს;

- სტაბილური ჯგუფის წევრობა - უსდ არის არაკომერციული ორგანიზაცია ცოდნის ფონდის წევრი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერისთვის გაუთვალისწინებელ და ფორს- მაჟორულ გარემოებებში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები ხშირად მიმართავენ არაკომერციულ ორგანიზაცია ცოდნის ფონდს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, კონკურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებისთვის. არაკომერციული ორგანიზაცია ცოდნის ფონდი აფინანსებს არა მხოლოდ მათი მონაწილეობის საფასურს, არამედ მათ მგზავრობას, ვიზას, საცხოვრებელს და ყოველდღიურ ხარჯებსაც კი.

- სწავლის საფასურის პოლიტიკა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ყოველწლიურად ითვალისწინებს ბაზარზე არსებულ ფაქტორებს, სტუდენტის გადახდისუნარიანობას და კონკურენციას. ფინანსური მოდელირებისა და ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განსაზღვრავს სწავლის საფასურის ოდენობას და მისაღები სტუდენტების რაოდენობას მომავალი სასწავლო წლისთვის. ჯანსაღი სწავლის საფასურის პოლიტიკის წყალობით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად იზიდავს მაღალკვალიფიციურ სტუდენტებს. იგი სტუდენტებს სთავაზობს ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას;

- სახელფასო პოლიტიკა - უსდ- ს პერსონალის მართვის პოლიტიკა აგებულია პროფესიული უნარების შეფასების სამართლიანობისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის პრინციპებზე. უნივერსიტეტის აკადემიური და სასწავლო სახელფასო პოლიტიკა მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის გაზრდას, ამავდროულად მათი, როგორც მკვლევარებისა და პროფესიონალების ზრდის ხელშეწყობას. ბევრ შემთხვევაში, ლექტორები საათობრივი ანაზღაურების გარდა იღებენ ფიქსირებულ ხელფასსაც და აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ და სამეცნიერო საქმიანობაში. როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტში არსებული სახელფასო სისტემა კონკურენტუნარიანია, შენარჩუნების მაღალი მაჩვენებლით. ეს საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს მუდმივად მოიზიდოს მაღალკვალიფიციური ლექტორები და ადმინისტრაციული პერსონალი.

- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება - უსდ- ს სახელფასო ფონდიდან აკადემიური პერსონალის ხელფასებისა და სხვა ხარჯების დაფინანსება სამჯერ აღემატება მსგავსი ადმინისტრაციული ხელფასების ოდენობას. უნივერსიტეტის სახელფასო ფონდში ასეთი თანაფარდობა შეიძლება ჩაითვალოს მაღალი ეფექტურობის ნიშნად, იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების მიზნები სრულდება.

- კვლევის დაფინანსება - უნივერსიტეტში კვლევა ფინანსდება ორი ძირითადი წყაროდან: (ა) უნივერსიტეტის გარედან მიღებული კვლევითი გრანტები (მაგ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები) (კვლევითი ბიუჯეტის 45.2%); (ბ) ინდივიდუალური კვლევისა და პროფესიული განვითარებისთვის განკუთვნილი სახელფასო ფონდი და უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტი (კვლევითი ბიუჯეტის 54.8%). ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თავისი მთლიანი საოპერაციო ხარჯების მინიმუმ 10% დახარჯოს კვლევაზე. 5% მოსალოდნელია უნივერსიტეტის გარედან, ხოლო 5% შიდა დაფინანსებიდან.

რაც შეეხება სხვა საგანმანათლებლო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ საქმიანობას - აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული ამ საქმიანობებში. გარდა ამისა, უსდ-ს პრაქტიკული და ლაბორატორიული ერთეულები მოიცავს სხვადასხვა სპეციალიზებულ ლაბორატორიებს, რომლებიც მაღალი ხარისხით ემსახურებიან მაღალი მოთხოვნის სტანდარტების მქონე მომხმარებლებს, ისინი ფინანსურად მდგრადი და სტაბილურია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სასწავლო- პრაქტიკული და ლაბორატორიული ერთეულები აქტიურად გამოიყენება სტუდენტების მიერ პრაქტიკული ცოდნის შესაძენად. ამრიგად, მთელი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი ყოველთვის კეთილსინდისიერად, დროულად და სათანადოდ ასრულებდა ყველა თავის ფინანსურ ვალდებულებას სტუდენტების, თანამშრომლების, კერძო თუ იურიდიული პირებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. გარდა ამისა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიუჯეტი მომგებიანია, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს საკუთარი შემოსავლებით დაფაროს ხარჯები.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის ბიუჯეტის შესახებ:

შემოსავალი	**106,0%**
შემოსავალი საბაკალავრო პროგრამებიდან	60,7%
შემოსავალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან	9,0%
შემოსავალი სამეცნიერო გრანტებიდან და კვლევებიდან	15,6%
ცოდნის ფონდის დაფინანსება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისთვის	6,5%
შემოსავალი სხვა სასწავლო- პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან	14,3%
გასავალი	**100,0%**
აკადემიური ანაზღაურება	32,3%
ადმინისტრაციული ანაზღაურება	13,7%
სამეცნიერო გრანტები და კვლევები	15,6%
ინდივიდუალური კვლევისა და პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი ხელფასები და უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტის დაფინანსება	*8,5%*
უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული სამეცნიერო გრანტები	*7,0%*
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4,9%
მარკეტინგი და კომუნიკაცია	3,2%
იჯარა და კომუნალური მომსახურება	9,7%
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება და განვითარება	0,8%
სხვა საგანმანათლებლო ხარჯები	6,5%
	13,2%

პედაგიგიური- პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობის ხარჯები	

ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში დაფინანსების დინამიკის შესახებ, რომელმაც დაადასტურა უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური სტაბილურობა, მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

დაფინანსების დინამიკა	2018-2019	2019-2020	2021-2022	2022-2023	2023-2024
სულ დაფინანსება	80,6%	80,3%	88,1%	95,3%	100%
დაფინანსების გაზრდა წინა წელთან შედარებით	2%	- 0.4%	9,7%	8,1%	5%

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უსდ- მ არ წარმოადგინა სხვა დოკუმენტი/ ინფორმაცია, სადაც უფრო დეტალურად იქნებოდა აღწერილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა.

ამრიგად, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა და გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტი ფინანსურად სტაბილური და მდგრადია, რაც უზრუნველყოფს მის მიერ ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას; და მისი შემოსავლები სტაბილურია და ადვილად პროგნოზირებადი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ არასდროს ყოფილა შემთხვევა, როდესაც ფაკულტეტის მიერ მოთხოვნილი საწყისი ბიუჯეტი არ დამტკიცდა ან შემცირდა. საბიბლიოთეკო წიგნების ზრდა ფინანსდება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული) პროფესიული განვითარება ფინანსდება უნივერსიტეტის ფინანსებით, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს მათ მონაწილეობას სამეცნიერო ღონისძიებებში (ძირითადად კონფერენციებსა და სემინარებში). დამატებით, უნივერსიტეტი რეგულარულად აცხადებს შიდა განვითარების კონკურსებს, რომელსაც ფაკულტეტის ადმინისტრაცია მართავს. უნივერსიტეტი ასევე ფარავს კვლევის შედეგების პრეზენტაციასა და პუბლიკაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სახელფასო ფონდიდან აკადემიური პერსონალის ხელფასებისა და სხვა ხარჯების დაფინანსება

დაახლოებით სამჯერ აღემატება მსგავსი ადმინისტრაციული ხელფასების ოდენობას. უნივერსიტეტის პერსონალის ანაზღაურება მოიცავს ფიქსირებულ (არასაათობრივ) კომპონენტს, რომელიც მიმართულია კვლევასა და პროფესიულ განვითარებაზე და აკადემიური პერსონალი იღებს გადაწყვეტილებებს მისი გამოყენების მიზნების შესახებ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნდა გამოიყოს და ცალკე და მკაფიოდ აღიწეროს ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, ყურადღება გამახვილდეს კონკრეტული პროგრამის ისეთ ძირითად საბიუჯეტო მუხლებზე, როგორიცაა საერთაშორისო მობილობა, საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება პროგრამების მხარდასაჭერად, სწავლებისა და ტექნიკური რესურსების გაუმჯობესება, სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა, სტიპენდიებისა და წახალისების უზრუნველყოფა, სპორტული, კულტურული, ტურისტული და გასართობი ღონისძიებები, პერსონალის პროფესიული განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიუჯეტი (დოკუმენტი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის შესახებ); ცოდნის ფონდის ფინანსური ანგარიში 2023 წ.)
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები: -

რჩევები:

1. სასურველია,ცალკე და მკაფიოდ აღიწეროს ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	✓	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა დანერგა ხარისხის სრული მართვის (TQM) სისტემა, რომელიც შექმნილია სწავლების, სწავლისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ყოვლისმომცველი მიდგომა მოიცავს უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტს, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ხარისხის კონტროლსა და გაუმჯობესებას, რაც მთელ დაწესებულებაში უწყვეტ განვითარებას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შეესაბამება მის სტრატეგიულ მიზანს - შეინარჩუნოს ეფექტური, მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ერთმანეთთან აახლოებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საგანმანათლებლო პროცესს. ეს თანამშრომლობითი სისტემა აერთიანებს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სკოლის კოორდინატორებს, დეკანებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტთა დეკანსა და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალს. ეს გუნდები ერთობლივად მუშაობენ პრობლემების იდენტიფიცირების, ხარისხის მექანიზმების დანერგვისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფისთვის.

როგორც ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა და განიმარტა თვითშეფასების ანგარიშში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრალურ როლს ასრულებს ამ სისტემაში, მუშაობს რა PDCA (დაგეგმე-გააკეთე- შეამოწმე- იმოქმედე) ციკლის მიხედვით; ეს არის დინამიური მოდელი, რომელიც მხარს უჭერს ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. სამსახური უზრუნველყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები აკმაყოფილებდეს როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს, უზრუნველყოფს სახელმძღვანელო პრინციპებს კურიკულუმისა და კვლევითი პროცესების განვითარებისთვის და აკონტროლებს შიდა შეფასებებს. ეს შეფასებები ტარდება სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვების მეშვეობით, რომელიც აგროვებს ანონიმურ უკუკავშირს სხვადასხვა ასპექტზე, როგორიცაა: სწავლების ხარისხი, სასწავლო გარემო და ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია. ეს უკუკავშირი გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად და საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებისამებრ მოდიფიცირებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე სასწავლო პერსონალთან და ყველა ჯგუფმა დაადასტურა პროგრამის განვითარებაში ჩართულობა, რაც გამოიხატა ყოველ სემესტრში კითხვარების შევსებით.

როგორც ვიზიტის დროს გამოჩნდა, უნივერსიტეტის ჰოლისტური მიდგომა ნიშნავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არის ყველა შესაბამისი დეპარტამენტის საერთო პასუხისმგებლობა. რეგულარულად ტარდება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი შეფასებები აკადემიური პროცესების, მატერიალური რესურსებისა და სტუდენტთა საერთო კმაყოფილების მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- სემესტრული შეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	✓	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

როგორც აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი უაღრესად აფასებს კოლეგიალური შეფასების პროცესს და აქტიურად იზიარებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შეფასებების დროს გაცემულ რეკომენდაციებს. უნივერსიტეტი ყურადღებით განიხილავს თითოეულ რჩევას, კრიტიკულად აფასებს და საფუძვლიანად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი რჩევა ყველაზე ეფექტურად გააუმჯობესებს განათლების ხარისხს კონკრეტულ პროგრამებში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მუდმივ ფოკუსირებას გაუმჯობესებასა და განვითარებაზე უმაღლესი აკადემიური სტანდარტების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის მინიჭებული სრული აკრედიტაცია. 2018 წლის 31 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ პროგრამას მეორე სრული აკრედიტაცია მიანიჭა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები, როგორც აღმოჩნდა, ისინი გათვალისწინებული იყო. ზოგიერთი რეკომენდაცია ეხებოდა კონკრეტულ კურსებსა და მათ წინაპირობებს, ხოლო ზოგიერთი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ პედაგოგიური პერსონალისთვის მეტი პროფესიული განვითარების აქტივობების შეთავაზებას. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, უნივერსიტეტმა დაიქირავა პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. გარდა ამისა, აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ ამ პირთან და აღნიშნეს, რომ მოთხოვნისთანავე იღებენ ინსტრუქციებს.

რეკომენდაციების შესრულებითა და მათი ინტეგრირებით მიმდინარე სასწავლო პროცესში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ადასტურებს, რომ იგი ორიენტირებულია უმაღლესი ხარისხის საგანმანათლებლო გამოცდილების მიწოდებაზე. რეფლექსიისა და გაუმჯობესების ეს ციკლი აძლიერებს უნივერსიტეტის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას როგორც მარეგულირებელ მოთხოვნებთან, ისე სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების ცვალებად საჭიროებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის აკრედიტაციის ანგარიში 2018 წლიდან;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	✓	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგების თანახმად, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის უწყვეტ და სისტემურ მონიტორინგსა და შეფასებას. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია, რომ უნივერსიტეტი მიჰყვება უწყვეტ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს პროგრამების განხილვას მრავალი სასწავლო ციკლის განმავლობაში. ეს პროცესი მოიცავს მრავალფეროვანი მონაცემების სისტემურ შეგროვებას, ანალიზსა და დამუშავებას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კვლევის მეთოდების გამოყენებით.

წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს უკუკავშირს ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან, როგორიცაა სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომელიც შეგროვებულია გამოკითხვებისა და უკუკავშირის მიღების სხვა მექანიზმების მეშვეობით. ეს ინფორმაცია ეხმარება გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებაში, რაც განაპირობებს სამომავლო გაუმჯობესებებს. პირდაპირი მეთოდები ფოკუსირებულია პროგრამის მიერ მისი მიზნების მიღწევის შეფასებაზე, სწავლის შედეგების შემოწმებასა და ნიშნების სტატისტიკის განხილვაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თითოეული პროგრამის ხარისხისა და მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი ამზადებს პერიოდულ მონიტორინგის ანგარიშებს. ეს ანგარიშები მოიცავს პროგრამის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის კონკურენციას, სტუდენტთა მობილობას, აკადემიურ მოსწრებას, სტუდენტურ აქტივობებს, კურსდამთავრებულთა კარიერულ გზებსა და

პროგრამის ნებისმიერ მოდიფიკაციას. ამ ანგარიშების მომზადება მოიცავს თანამშრომლობას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს ყველა აზრის გათვალისწინებას შეფასების პროცესში.
ეს ყოვლისმომცველი ანგარიშები იძლევა დეტალურ მიმოხილვას პროგრამის სტატუსის შესახებ, სადაც აღწერილია განხორციელებული ქმედებები, დანერგილი ცვლილებები და აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დასაქმების სექტორებთან დაკავშირებული აქტივობები. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ეს ინფორმაცია დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეთა ყველა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ისინი ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- სემესტრული შეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	✓	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები: ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	✓	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	✓	☐	☐	☐

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	✓	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓	☐	☐	☐

დანართი N1 - ექსპერტთა ჯგუფის პასუხი ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პოზიციაზე